ფინანსის რეკონსტრუქცია

ქალაქბონი ოლღა

თვალს იტაცებს ოლღა ჩაჩუა-სელვე-ზნოვას პეიზაჟები, გრაფიკული ნამუშევრები. ფაიფურის ხერვიზები, რომლებზედაც იშვიათი გემოვნებითაა გამოსახული დეკორატიული მცენარეთა ყლორტები... დიას, რასაც ხედავთ, ყველაფერი ღამაზია, იგრძნობა მხატვრის სული, მისი სიყვარული ბუნებისადმი, მშობლიური ადგილებისადმი. უყურებ ამ ნახატებს და რწმუნდები: ადამიანი ყოვლისშემძლეა, რადგან მას ძალუძს არა მარტო შეიცნოს მშვენიერება, არამედ შექმნას კიდეც.

ზის ქალაქბონი ოლღა სავარძელში, ხანდახან მოიგონებს გარდასულ დღეებს და სევდაც-მოქალებს. მერე თავს შემოუბრუნებს, კვლავ ფუნჯს დასწვდება და ხატავს გატაცებით, სიყვარულით.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო

ქალაქბონი ოლღამ. ჩვენი საუკუნის გარირგარეზე დიბადა, ბავშვობა მშობლიურ სოფელში გაატარა. მერე რიგის სამხატვრო ინსტიტუტი დაამთავრა. ძირითადად გამოყენებითი ხელოვნების დარგში — რიგის ფაიფური-ქაშანურის ქარხანაში მუშაობდა და 10 წლის მანძილზე საყოფაცხოვრებო ჭურჭლის 300-მდე ესკიზი და ნიმუში შექმნა. მისი ესკიზებით მასობრივად გამოუშვეს ჩაის, სადილის, ყავის ფაიფურის ხერვიზები. ეს ნიმუშები სახლგარეულის თერთმეტ ქვეყანაში გაივრცელდა და თანაც ისეთ ქალაქებში, როგორცაა ლიფცივი და ბრიუსელი, ნიუ-იორკი და პოზნანი...

მისი კვლევები მშვენიერი ვარდები, ნახი უკსაზე, ვაზის ფოთლები თუ ყურძნის მტევნები, რომლებიც ოსტატურად მოუხატავს მხატვარი... იგი კარგად

ფლობს აკვარელსაც, აქაც იგრძნობა შემოქმედის დიდი შინაგანი ენერჯია. მიუხედავად იმისა, რომ წლები მოეჯარა, ქედი არ მოუხრია, გატაცებით მუშაობს, ქმნის პეიზაჟებს, უფრო მეტად კი იმ ადგილებს ხატავს, სადაც ბავშვობა გაატარა... რა მართალი სურათებია. აქ არაფერი არ არის ემპირიული, ყველაფერი სიღრმიდან მოდის, სულიდან...

ქალბატონ ოლღას საოცრად ახალგაზრდული სული აქვს, უყვარს პოეზია, მუსიკა, მშვენიერად მღერის რომანსებს, მაინტერესოდ მოგვიყვებათ ცნობილ ადამიანებთან, ესენინი ბათუმში — მარტო ამ მოგონების მოსმენა მოგაჯადოებთ. იგი საინტერესოდ მოგვიყვებათ შეხვედრებზე სახელოვან პოეტთან, მწერალთან თუ მხატვართან...

რა არის მთავარი?

ფართო და მრავალმხრივია მზია ხალხის შემოქმედება. პორტრეტის გარდა, იგი ქმნის მხატვრულ ქსოვილებს, ფარდაებს. მიზმიდევლია მისი გობულებები ფერთა შეხამებით, კომპოზიციით, მაგრამ მხატვრის სახელოსნოში განსაკუთრებით მაინც პორტრეტები იყვრობს ყურადღებას, აგერ მამის — პოეტ ფრიდონ ხალვაშის პორტრეტი, ავტობიოგრაფიკი, მუხომის, შვილების პორტრეტები... მხატვრისათვის სულიერი ფასეულობანია მთავარი, პორტრეტი კი ამის გამოსახატავად შეესანიშნავი საშუალებაა.

შთამბეჭდავია მზიას ნამუშევრები: ზემო აჭარის ბუნება, მისი პეიზაჟები... მთიელები — მამა-პაპის სავანის მკვიდრნი, რა ბუნებრივია ისინი მხატვრის სურათებზე. უყურებ ამ ნახატებს ფარცნობთ, როგორ იღვრება მუსიკა ფერებში, ოდნავ სევდიან, მინორულ განწყობილებასაც აღვიძრავენ ისინი, გაფიქრებენ... და ეს ძალიან კარგია, რადგან მხატვარი აღწევს თავის მიზანს — ქმნის არა მარტო ხასიათს, არამედ გარკვეულ განწყობილებას, გადმოგვცემს

ახალგაზრდა თანამედროვის სულიერ ცხოვრებას.

ახლა მზია პერსონალური გამოფენისათვის ემზადება. მაღლ ბათუმელებს საშუალება მიეცემათ უფრო ახლოს გაეცნონ მის შემოქმედებას. პირველ რიგში კი გამოფენით მიღებულ სიხარულს მისი შვილები — გვანცა და სულხანი, მუუღღ და სხვა ახლობლები გაიხარებენ. და არა მარტო ისინი; მზიას მრავალი კეთილისმოსურენი და დამფასებელი ჰყავს მისი ღამაზი, ადამიანური თვისებების გამო. იგი მოკრძალებული, თავმდაბალი, უშურველი და კეთილი ადამიანია.

კვლი

ჯერ კიდევ ამ ათიოდ წლის წინათ ალაპარაკდნენ ნილო ნიფარაძეზე, როდესაც სამხატვრო გალერეაში მისი სურათები გამოფინდა. ბევრმა აღიარა, რომ წინო უღრესად ნიჭიერი, პოეტური სულის ხელოვანია.

მხატვრის თემატიკა მრავალფეროვანია — მუშაობს როგორც ფერწერაში, ასევე გრაფიკაში. საინტერესოა მისი პორტრეტები და ნატურმორტები ფერთა გამით, კომპოზიციური ჩანაფიქრით, ორიგინალური გახზვებით. ასეთებია: „პურის რიგ-

ში“, „ზამთრის პეიზაჟები“, „სულის იდილია“ და სხვები. მხატვრის დიდ ნარმატებაზე მოწიბობს ისიც, რომ მისი ორი ფერწერული სურათი გამოფენიდან შეისყიდა მოსკოვის ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეამ. წინო ნიფარაძე რესპუბ-

ლიკური და საკაეშირო გამოფენების ხშირი მონაწილეა. 1973 წელს რამდენიმე ნამუშევარი ექსპონირებული იყო ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების საგამოფენო დარბაზებში, 1985 წელს მხატვარი თეთიანარიშით წარსდგა თანამოქალაქეთა წინა-

შე — მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. ყოველი ხელოვანი თავის სამყაროს ქმნის და როგორცაა მისი მსოფლგანცდა, ისეთივეა მისი სურათებიც. ეს ანბანური ქეშმარიტებაა ხელოვნებაში. წინის უმაღლესი მამოძრავებელი ძალა ცხოვრებაა, მისი სინამდვილე და ადამიანები,

რომლებიც მის შემოქმედებით პრინციპულად გადმადგებიან და ახალ, საინტერესო კუთხით წარმოგვიდგვიან მხატვრის ტილოებზე. შეიძლება ითქვას, წინის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია სტილისტური თავისებურება. ამჟამად გატაცებით მუშაობს მხატვარი ქალი ახალ ტილოზე.

მამა ნახე...

ესმა ართმელაძე ჯერ ახალგაზრდაა, 25-ოდე წლის. მხატვრისათვის ეს ასაკი მართლაც არაა დიდი, ცხოვრება ახლა იწყება, წინ საინტერესო სამყარო გადაშლილია, შეგიძლია ყოველივე შეიმეცნო, ილონდ ესაა, დანახვის, განცდის, წარმოსახვის უნარი უნდა გქონდეს, შრომის-მოყვარეუდ უნდა იყო, ნიჭს ცოდნა უნდა შეუთავსო, ცოდნას — შრომა, შრომას — ძიება, წებისყოფა უნდა მოიკრიბო, ბევრი იკითხო, ბევრი ხატო... ერთი სიტყვით, მხატვარი რომ დადგე, ძალიან ბევრი რამა საჭირო. ეს ყოველივე კარგად იცოდა ესმამ, არ იყო მისთვის უცხო მხატვრის ცხოვრება. მაინც არ დაიხია უკან, პირიქით, ჯერ კიდევ ბავშვი საათობით იჯდა მამის გვერდით — მხატვარ სიმონ ართმელაძის სახელოსნოში და გულდასმით აკვირდებოდა ხატვის პროცესს. ხელოვნებაში გაიტაცა და გადანყვობა მამის გზას გაჟყოლოდა, ასეც მოხდა, მამის დახმარებით ტექნიკას დაეუფლა, სამყაროს შეცნობისა და ძიების ნუსურილი კი თან დაჟყოლოდა.

მხატვარი ქალი ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბერში მუშაობს. მისი შთაგონების წყაროა ზემო აჭარის ულამაზესი პეიზაჟები, ესმა მონდომებით მუშაობს მრავალფეროვან ნახატებზე და ხშირად წარმატებასაც აღწევს, მაგალითად, მისი ერთერთი ნამუშევარი ექსპონირებული იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში: ესმამ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ბათუმურ კერსინაჟზე ბულგარელებმა ძლიერ მოინონეს ესმას ორი ნამუშევარი — აჭარული პეიზაჟები, ისინი ბულგარელებს საჩუქრად მიუძღვნეს.

მთა დიდი და შეუცნობელი თავისი წარსულით, ათასი ზღაპრით, ფოლკლორით, ლეგენდით. იქ სახლობენ საინტერესო, თავისთავადი ადამიანები, უაღრესად ექსტრემალურ ვითარებაში რომ იწარჩუნებენ სულის სიდიადეს... პოდა, ესმაც მათთანაა, სწავლობს მათ, აკვირდება, უფრო ღრმად ეცნობა, ენაფება მათს თუ ზღაპარს, წარსულს თუ თანადროს.

ლობას და გრძნობს, როგორ გამოუთქმელად ძლიერ უყვარს ეს ხალხი, მიწა, მისი ყოველი გოჯი, მისი დევა და ლიანა. ამიტომაცაა, რომ ფუნქციით თითქოს თავისთავად მუშაობს და წერს, წერს ფერებით თავის მკვიდრთა საგალობელს.

* * *

ლექსი გონების დღესასწაულიაო — ხშირად გამიგონია, მხატვრობა? — ალბათ ისიც, რაღაც სხივმოსილი იდუმალდება რომ ახლავს თან, იქნებ იმტომაც იზიდავს ადამიანს ასე ანდამატურად, აიძულებს ემსახუროს მის მუხას... ბათუმელი ეს ახალგაზრდებიც — ელვირა თურმანიძე, დონარა ტუჩაშვილი, ლილია რეზნიკოვა, ელენე ზანინა, სოფიკო მუშუკუდიანი, თეა კვაჭანტირაძე და მერი ბუქიძე ფერწერული ხელოვნების სიყვარულით გამსჭვალულან და მხატვრის რთულ და საინტერესო, ძიებით სავსე გზას შესდგომიან.

ბენერიტა ჭუთათელაძე



ბათუმის პონტროსი პარკი

მასწავლებლის ხელი

ოსმალთა სამსკლავი ბატონობის შედეგად აპარა მურნეობრივად განახლებულ სოციალურად დახეიანებულ და კულტურულად უარესად ჩამორჩენილ უკლებლ უწინურ მხარედ იქცა მოსისო ქართული წინა და წინგონობა, აღარ მოქმედებდა და კულტურისა და განათლების აღმადგენელი ეტრბი. განსაზღვი და რჩეული თაობები ტყვეთა ბაზარზე იყიდებოდნენ.

ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვიარებისათვის ოსმალები განსაკუთრებულ მზრუნველობას აძლევდნენ შამაღიანობის გავრცელებას, მოძალადეებმა აქედნ ქართველი ერთადერთი სულიერ სარდლო შამაღიანური რელიგია მოვიდნენ: „განათლების სისტემა“ ამოიწურებოდა მედრესეთი, სადაც ბოჭები და მოძლები მოზარდებს გაუფებარ რელიგიურ დოგმებს ზეპირებიზებდნენ.

110 წლის წინათ აპარა უცხო დამპყრობთა უღლისაგან ვანთავისუფლდა და სამშობლოს — დიდ საქართველოს დაუბრუნდა.

მისუბედავლ მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის, აპარად საქურდური და კულტურული განვითარების ერთგვარი შეზავებლობა მოიპოვა.

ილია კუჭავაძე, აკობ გავგაბაშვილი, დიმიტრი ყუფიანი და სხვები აპარის ხსნას ქართული სკოლის დაარსებაში ხდებოდნენ. ილია კუჭავაძისა და სხვათა თანხმობით 1881 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბათუმში ქართული სკოლა დაარსა. ის იყო ქართველი კულტურის აღორძინების პირველი მერცხალი, რომელმაც დასაბამი მისცა ეროვნული წყლულების მოშუშების პროცესს.

ამ საზოგადოებრივი საქმის წახმარებელად ახალგაზნთობრებად მხარეს პირველ რიგში მომზადდებულნი კადრები ესპარტოზობდა. საკადრო ვაჟთუმის შევსებლის საქართველოში თითქმის ყველა მხარე მონაწილეობდა. აგვიარა საუკუნეთა უფრადლები, თანგარძნობისა და თანადღობის წაყვლე იყო ის არჩავიული ფერისცვალება, რაც აპარად განთავსულებლის შემდეგ ვანიცადა. გახსულ საუკუნის 90-იან წლებში აპარის რიგ სკოლებში გაიხსნა სახალხო სკოლები. პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა დაიწინაურების მოთხოვნით 1897 წელს ბათუმში დაარსდა ვათია, ხოლო 1900 წელს ქალთა გიმნაზიები, 1898 წელს ქალის ხარჭე გაიხსნა ბათუმში ქალთა დაწესებობის სკოლა 68 გოგონასათვის.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ აპარაში სასფრველი ჩაუყარა ამ კუთხის სოციალისტური გზით განვითარებას.

რებას აქედან იწვება სახალხო განათლების აღმავლობისა და წინსვლის ისტორია. შეიქმნა ახალი ერთიანი საბჭოთა სახალხო სისტემა. განათლების დარგში დახარული სოციალური თანასწორობა მოსახლეობის ყველა ფენის უპრევიზიანობის. შეიქმნა წერა-კითხვის უპრევიზიანობათან ბრძოლის საზოგადოება, ქალთათვის გაიხსნა კრავებრის სკოლები.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად 1928 წელს მოსახლეობის 94 პროცენტზე წერა-კითხვის უკოდინარი იყო, უმაღლესი განათლება აპარის მკვიდრთაგან მხოლოდ 4 კაცს ჰქონდა. 1928 წელს სოფელად მცხოვრები ქალთაგან წერა-კითხვა 4% პროცენტმა იცოდა.

საბჭოთა სკოლის წინაშე იდგა სანაუსებისმგებლო ამოცანა — მას უნდა შესრულებინა გადაწყვეტი რალი ძველი ყოფა-ცხოვრების რვევისა და ახალი ცხოვრების შექმნის საჭეშე.

იციან წლებში საბჭოთა სკოლებში ისწავლებოდა მამდიანური სკოლის კანონები, ხოლო 1931 წლამდე უბრტული ენა. მასწავლებლობად ზოგიერთ სკოლაში ხოჭავაძე კი მიიწვიეს და სახელმწიფო მათ ფულად აწაზღურებას აძლევდა.

აღდგომილი პარტიული ორგანოები განიცდებდნენ ეკიდებოდნენ რელიგიის საწინააღმდეგე ღონისძიებათა განხორციელებას. იცოდნენ, რომ რელიგიური ფანატიზმი მყარი იყო იქ, სადაც უმცირესმა და სიბნელე სიუცვდა.

20-იან, 30-იან და შემდეგ წლებში გურდიან, მეთერთიან, სამეგრელოდან მიხედვით უკლებოები აპარაში საშუალო, ოსინი არ უზინდებოდნენ სინქლევებს, ქართული წინის სიყვარულს ადივებდნენ, განათლების ჩირალდანი შექმნილად აპარის მოსახლეობაში. მშრომელთა ღრმა სიყვარულად და პატივისცემა დამისახურეს მასწავლებლებმა — ძველი გვარდიისა და მომდევნო თაობების წარმომადგენლებმა. მართალია, ოსინი დიდი ზეგნს რიგებში აღარ არიან, მაგრამ მათი საქმიანობა ამშვენიერებს აპარის განათლების ისტორიას. მათ შორის იყვნენ: ვ. ძიძგური, ნ. ნაძე, ნ. დლოტიჭყვიანიძე, ა. გრიგალი, ა. ქაქელიძე, ა. ნაწიეშვილი, შ. შარაშიძე, ა. მეგაძე, ა. კანდილოძე, გ. ნიორაძე, კ. ჩხიკვიანი. ა. ქაქელიძე, დ. ჩავარაშვილი, დ. ქავახია და სხვები.

ღღი ამადი დასდენ აპარის სკოლებს სამამულო ომის შემდგომ პერიოდში. ნ. ვარსანიძე, დ. მახარაძე, ვ. ხაშინიძე, ე. მეულაძე, დეგმა თინა, ნადაია და ნინა დოჭვირებმა, ა. გავნიძემ, თამარ და ნადაია მაჭუტაძეებმა, დ. უჩაწიეშვილმა, ვ. პოტკინმა,

ნ. ცაცანიძემ, ო. ხინიკაძემ, ე. პილიძემ, ნ. გეგელიამ, გ. ლორთქიფანიძემ, ვ. ჩახავაძემ, ა. ბეკიაძემ, კ. ბოლქვაძემ, ა. თავდარიძემ, ა. თანდილევამ, გ. ციგაძემ, დ. ნაცვალაძემ, ნ. ბოლქვაძემ, ნ. ვადაჭკვიანამ და სხვებმა.

აპარის ქალმა უკლებოებმა თავიანთი სიტყვა თქვეს სამამულო ომის დროს. ამჟამად უკლებოებმა სამამულო ომის მონაწილე დარგან დლოტრი, ლუდშოლოთაკვაძე, პურიე ინაიშვილი.

უკლებოებრივი კადრების მომზადების საქმეს ათეული წლების განმავლობაში მონაწილე მუცნიერებმა დლოტორი ნელი დღეშაძე, დოციენტები — ქეთევან ალასნია, ნაია ციხტიძე, ვერა გრიგობაძე, ნაია სანაშვილი, მერი ცინცაძე, თუთუნა დანასიძე, ნაზო მიქელაძე, შუშანა ფუტკარაძე.

გრძელდება კარგი ტრადიცია. ესტატა საბიძლო ბელშია, აპარის კვლავაც მუავს მოწინავე უკლებოები: ვ. ცირეკიძე, თ. ანდლოძე, ი. მაღალიანი, დ. ქაქაშვილი, დ. გურგაძე, ე. ბოჭორიშვილი, ნ. ჩაუშა, ე. სავაროვა, ნ. გოროშაძე, დ. მეგრალი, ვ. გურგაძე, ფ. მანუიშვილი, ნ. ბახალიძე, ზ. ნანიძე, შ. ლორთქიფანიძე, ე. ვადაჭკვიანი, ნ. ლუბაძე, აღ. ბოლქვაძე, ა. დეგანიძე, შ. მაქარაძე, ა. დლოთაძე, გ. მდივანი, ა. კახიძე, ო. კახიძე, დ. ბოლქვაძე და სხვები.

ღღეს აპარული ქალი ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა და აღარაგნის უფრის, რომ გვი არის მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, მასობითი უკლებოები, ექიმი, ინჟინერი, შრომითი კოდექტივის, პარტიული თუ საბჭოთა ორგანოს ხელმძღვანელი.

აპარაში ყოველთვის დიდ პატივისცემად და უფრადღებთ სარგებლობად სახალხო მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ 1934 წელს საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჭოლოდებულ იქნა სოფლის 4 თანის მასწავლებელი, საქართველოს საზოგადოებრივი უკლებოები — 126, მათ შორის აპარის ასს რესპუბლიკიდან იყო ცხრა მასწავლებელი: ა. იმედაძე, ი. ჩხაიძე, დ. ზვირია, ე. მინდაძე, უ. მეულაძე, დ. დოჭვირი, გ. ინაიშვილი, ქ. და ე. ბოჭორი.

ღღეს აპარაში მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურება 406 ზოგადგანმანათლებლო სკოლა, 5 პროტექტინკური სასწავლებელი, 140 სკოლადგელი და 2 სკოლისგარეშე დაწესებულება, 2 საავადმედო სახლი, 8 სკოლა-ინტერნატი.

ამჟამად რესპუბლიკის ზოგადგანმანათლებლო სკოლებში, პროტექტინკური სასწავლებლებში, სკოლადგელი აღზრდისა და



სკოლისგარეშე დაწესებულებებში მუშაობს 8500 მასწავლებელი-აღმზრდელი. მათ შორის 6500-მდე ქალია. საქართველოს სსრ დასახურებული მასწავლებლის წოდება აქვს 58 პედაგოგს, მათ შორის 25 ქალს. აქარის ასს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება აქვს 220-ს, მათ შორის 180 ქალია. მეტოდიკი მასწავლებელია 57, მათ შორის 80 ქალი; უფროსი მასწავლებელია 202, მათ შორის ქალია 100; აღმზრდელ-მეთოდისტი 18. ყველა ქალია ასევე უფროსი პიონერბუნებმდევნელი, მეთოდისტი 8 ქალი. ლენინის ორდენისანია 7 (მათ შორის 4 ქალია), შრომის წითელი დროშის ორდენისანია 8, ხალხთა მეგობრობის ორდენისანი — 2, საბჭოთა ნიშნის ორდენისანი 12, სხვადასხვა მედლით დაჯილდოებულია 120 მასწავლებელი.

6. კ. კრუხსკაიას სახელობის პრემიით დაჯილდოებულია ქ. ბათუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლალი ქვიციანი, ხელგაჩაურის რაიონის უროლისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელი ალექსანდრა კახიძე და ქობულეთის რაიონის ქვედა კვირიკის საშუალო სკოლის მასწავლებელი ეთერ ხარაზი.

დღეს სკოლას ბევრი პრობლემა და სატიკური აქვს. სკოლებია და სხვა სასწავლო დაწესებულებების პრობლემებიც და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და

სამეურნეო ორგანიზების უკუვადლიური ზრუნვის საგანი. უფრო მეტი ურადღება ეთობა სახალხო განათლების შინაარსის, სტრუქტურისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, სასოვადობრივი ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი სფეროს მართვის სრულყოფასა და ღრმა დემოკრატიზაციას. მაგრამ პირველი სიტყვა მივცე სკოლას და მასწავლებელს ეკუთვნის. მოხდენილად უთქვამს ჩვენს თანამემამულეს მიხეილ კვესელავს მასწავლებელზე: „ხელოვნებათა შორის ყველაზე რთულად და მნიშვნელოვნად ახალგაზრდობის აღზრდა მიხანია. მწერლობას სიტყვასთან აქვს საქმე, მხატვრებს ფერებთან, მუსიკას — ზღერასთან, მასწავლებელს კი მოზარდის სულთან, მის ფსიქიკასთან, ხასიათთან. ქვისგან ადამიანის სახის გამოკეთება, ალბათ უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანისგან პიროვნების გამოძერწვა. ამას რომ ვაძობ, თვალწინ როდენის ერთი ქანდაკება მიდგას — „ღვთის ხელი“ მარმარილოსაგან გამოკვეთილი ხელის მტევანში რაღაც უფროსი მხა ადამიანის სახეს იღებს.

მე ვინ მეივთხება, თორემ ამ ქანდაკებას „ღვთის ხელს“ კი არა, მასწავლებლის ხელს დავაჩქვევდი. ამიტომ მიმჩანია მასწავლებლობა ადამიანის სულის ძერწვის უმაღლეს ხელოვნებად. კარგი მასწავლებელი მოსწავლისათვის უდიდესი ბედნიერებაა. მისი ამავი არახოდეს იკარგება, რადგან მაღალი

შემოქმედებით მიღწეული შედეგი მასწავლებელია. იგი თაობიდან თაობას გადაცემს და განსაზღვრავს ერის, საზოგადოების სახეს.

ყოველი კარგი მასწავლებელი შემოქმედია. შეიძლება ისინი წიგნებს არ წერდნენ, მაგრამ უკუვლი მათი მოსწავლე მათ მიერ დაწერილი წიგნი არ არის? როგორ? ეს უკვე თვითონ მასწავლებელზედაც არის დამოკიდებული, ვინც მასწავლებლის მიერ გაწეულ ამავს შეირგებს და განავითარებს, ცხოვრების გზა არ აერევა. მასწავლებელი ხომ სანთელსა მგავს: თვითონ იწვის და სხვას გზას უნათებს“.

თავისუფალი და განათლებული ქალციოქახის, ერის საყუველთაო პროგრესის აუცილებელი პირობაა.

ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა წარმატებული ორგანიზაცია, დღისის მასწავლებლის და კიდევ, საბჭოთა სკოლის წყლილი. საბჭოთა სკოლად ახლაც დიანაა გაწაოლების, აღზრდისა და საერთად დიდი კულტურული გარდაქმნის რთული ამოცანა.

თეორ ციხაძე,

აქარის ასსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

ზრუნავნი პატარებს



ბათუმის მმ-ე ბავა-ბაღში წელს პირველად შეხვდნენ ახალ წელს. ნორჩებს საკუთარი თოჯინების თეატრი აქვთ. პიესებს ქმნის ბაღის გამგე შერი ცინცაძე, მუსიკალურად აფორმებს მუსიკის მასწავლებელი მაყვალა ბერიძე, მხანობლები კი ახალგაზრდა მასწავლებლები არიან.

პატარებს ძალიან უყვართ სპექტაკლი სამ გოკზე. მომავალში ისინი ნახავენ ახალ სპექტაკლებს ომში გამარჯვების თემაზე და ბავშვთა დღისადმი მიძღვნილს.

საქ. სსრ კ. მარკსის
სსხ, სახ. რესპუბ.



ახალგაზრდა მასწავლებლები: ლილია ბუილიშვილი, ნარგიზა ნაკაშიძე, ირინა კანტურია, ირმა ზვიჩია.

„ეკუსალა შეასაქო“

„სწული დაბრუნებულვარ, მყურნალად შემყარავო“, — ეს სიტყვები დიდმა აკაკიმ თითქოს აჭარასა და მის მკვიდრო ათქმევინა, ჭეშმარიტად სწული, ჯანგაბჭილი, კულტურულად დაქვეითებული, მაგრამ ენისა და ადამიანების შურ-ყველა დაიბრუნა საქართველო თავისი ლეილი შვილი აჭარა 110 წლის წინ, ორმოცი წელი გახდა საჭირო იმისათვის, რომ ცარიზმის ხელისუფლების მიერ აქაიქ გახსნილ საქმიო პუნქტებში პირველი ექიმი ქალები გამოჩინდნენ. ერთი მათგანი გახლდათ ტარტუს უნივერსიტეტის აღზრდილი, კბილის ექიმი ცუცა ვარლამის ასული ბახტაძე (რომე-მუღც კოლად შერთო ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ასევე პირველმა აჭარელმა ექიმმა ყადირ თუფანის ძე შერვაშიძემ).

აჭარის მკვიდრ ქალთაგან პირველი ექი-მები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათწლეულში გამოჩნდნენ, ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია ნერვეტან შამიკაშვილის (1908-1976). მატახლის ხეობის სოფელ ჭანიერის მკვიდრი შვიდიოდე წლისა იყო, ბათუმის ქალთა გიმნაზიაში რომ მიეყვანა. 1925 წელს მათ თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კარი შეაღო. აჭარელი ჯიჯონას გამოჩენამ საერთო ყურადღება მიიპყრა. ქართული მეცნიერების ტაძრის ქურთუბმა ვ. ფლენტმა, კ. ერისთავმა, ა. მაჭავარიანმა, ზ. მისურაძემ, ა. ნათიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს მის მიმართ და შეადგეს არ დაუყოვნებია. ნერვეტანი აჭარელ ქალთაგან იყო პირველი ექიმი, პირველი კანიდიდოტი, პირველი დოქტორი, რასაკლები უმაღლესი ორგანოს პირველი ქალი დებუტატი, პროფესორი, მეცნიერების დასახარებული მოღვაწე, აჭარის ასსრ ჯენდაციკის სახელე კობინას, ქართველ მეცნიერ-მედიკოსთა და პრაქტიკოს ექიმთა შესანიშნავი აღზრდილი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი.

აჭარაში მაღარაის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთმა პიონერმა, ცნობილმა საბჭოთა მაღაროლოგმა სალომე ავალი-

შვილმა (1899-1966) საკუთარი ბედნიერება და ლამის სიცოცხლე შესწირა ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახურს. 30-იან წლებში კოლხეთის დაბლობზე დაჭაობებული ადგილების გაუვნებლობისათვის ავიაციას იყენებდნენ. სალომე შამიხდელ-ტენიეთი აღჭურვილი თვითმფრინავში იჯდა და თავად ხელმძღვანელობდა სათანადო ქიმიური პრეპარატების ჩამოფრქვევას. და აი, ერთხელ მანქანის ძრავა გაჩერდა და აეროპლანი თავისი ეკიპაჟით ძირს დაეწარცხა, სალომე გადაჩრა. მაგრამ დააკარგა პირველი ნაყოფი, პირველი იმედი, რომელიც მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. და მაინც ამ შემთხვევად თოქმის ოთხი ათეული წელი თავის ექიმურვებს საქმეს აგრძელებდა.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, აჭარაში მოღვაწე მედიკოსი ქალბისთვისაც მძიმე გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. პირველი დიდებულ სამშობლოს დაცხილზე წავიდა აქ მომზადე ექიმებისა და მათი თანაშემწეების 24 პირველი — 65 ექიმი და 120 ფერშალი. მათ შორის უმეტესობა ქალები იყვნენ.

კომულის რაიონის სოფელ ბობოყვათის მკვიდრი, ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, 47-ე საარტილერიო პოლის სახმდრო ფერშალი, უფროსი ლეიტენანტი პურიე ანანიმე კიევის განთავისუფლებისა და დეპარის ფორსირების მისი მძიმედ დაიჭრა. სამწუხაროდ ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და პურიე ევდარ დაუბრუნდა თავის ოჯახს.

ომის ქარცეცხლიან დღეებში ფორსის წინა ხაზზე იბრძოდა ექიმი (ამჟამად პენსიონერი) ლეიტენანტი მახსულა.

ხულოს რაიონული საავადმყოფოდან გაიწვიეს მონახლების დედი ლინა ტბაბლა და ლუბა წეროძე (ამჟამად ექიმები). თვრამეტიოდე წლის ქალიშვილები პირველი დღეებიდანვე ომის საწინდელ ორომ-ტროპალი მოხედნენ, ტყვეობის მხარე განსაჯდელიც ევემეს, მაგრამ სულთ არ გატხნილან, მოიხადეს საბჭოთა მეომრის, სამშობლოს დაცველათა ერთგული გა-

დამრჩენის ვალი და ამჟამადც ღირსეულად ასრულებენ მკურნალისა და ქართველი დედის საბატიო მოვალეობას.

ძლიერა ჯგროვნად მოიხსენიო სამამულო ომის მონაწილე ყველა ქალის დასახარება, თითოეულის ბიოგრაფია ცალკე წერილის ღირსია, ამიტომ ჩვენ ზოგიერთ მათგანს მხოლოდ გმარებით მოვიხსენიებთ: ე. ასლან-ზადე, თ. უგულავა, ლ. ვაკლია, ქ. კობლაძე, ქ. ქილიფთარი, ქ. სოსელია, ნ. ლოლა, ქ. შორიამანსკაია, რ. მახლინა და კიდევ მრავალი სხვა.

ომის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის დაავადებათა პროფილაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა საინტარული-სავაგინათლებლო მუშაობას ამ მიზნით 1947 წელს შეიქმნა რესპუბლიკური სანატარიული განათლების სახლი, რომლის მთავარ ექიმად დღემდე უცვლელად მუშაობს აჭარის ასსრ დამსახურებული ექიმი ლია ხუხუშვილი. სწორად მისი პირადი დამსახურებამა, რომ ამ დანახებულების კოლექტივმა არაერთხელ მიიღო ჯილდოები, ზოლო ჩვენს რესპუბლიკაში და ქვეყნის ფარგლებშიც, ეს სახლეს გამოცვლების გაზიარების სკოლად გადაიქცა.

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მაღალმუხანერ პრაქტიკულ და ორგანიზაციულ საქმეს ღირსეულად ემსახურებოან გულნარა ცივაძე, ნანული ოროშავაძე, თამარ დობოზჯანიძე, ლეილა ჩხეიძე, ტატონა გვეგნავა, ნუნუ პერტია, ფაღე ჭჭინაძე, ნინო კაკაბაძე, ნივარ ჭჭილიძე, თამარ ქაბაძე და სხვები.

ერთხელ დაბადებულნი ერთხელ კვდებოან, — ნათქვამია, მაგრამ იმსაც ამბობენ, ჭეშმარიტი ექიმი იმდენჯერ აწლებ, რამდენი პაციენტიც მოუყვდებაო. აღბათ სწორად ამტომავა, რომ ექიმების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სხვებთან შედარებით რამდენიმე წლით მაინც უნარა. მიუხედავად ამისა, იდამიანები მარცხს განსაუფლიან და ადრეს, რათა იყვენ ხალხის ჯანმრთელობის მსახურნი.



აჭარის კურორტ- ტაბუნა

აჭარის კუთხის საუკეთესო კლიმატურმა პირობებმა, როგორც შიან რაიონებში, ასევე წლის სანაირი ზოლზე განაპირობა მისი კურორტად ჩამოყალიბება.

1882 წელს შეიქმნა აჭარის კურორტების სამმართველო, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ მუშაობას ატარებს ჩანჩქილის და ცხენის კერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და დამსვენებელთა მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის.

თუ 1924 წელს ქობულეთში გაიხსნა პირველი სანატორიუმი 80 საწოლზე, აქედან აჭარაში ფუნქციონირებს 105 სანატორიუმი, პანსიონატი და დასასვენებელი სახლი, ბავშვთა სანატორიუმები და შიგნით რიგი საუწყებო ჩანჩქილების მქონე კერები, სადაც ყოველწლიურად დატარდება და ისვენებს 98000 კაცი, ზაფხულის პერიოდში დღე რაოდენობით ისვენებენ პოინერთა ბანაკები, ბლლი პანსიონატები და დასასვენებელი სახლები გამოიყენება ოჯახური დასვენებისათვის.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ჩამოსულთათვის ორგანიზებულია ავადმყოფთა ამბულატორიული მურწარვლა საკურორტო პოლიკლინიკებში, რომელიც განკარგულებულია ანამნეზიკურ მოთხოვნათა დონეზე მოწყობილი სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტები.

აჭარის კურორტების განვითარებაში განსაკუთრებით დიდი დავალი მიუძღვით ქალებს, მართ აჭარის სააღმოსავლეთი კურორტო საბჭოს სისტემაში 1750 მუშაკიდან 75 პროცენტი ქალია — მათ შორის 84 ექიმი და 128 ექთანი, მედიკოს ქალთა შორის 48 შრომის ვეტერანია, 19 ორდენიანი და მედლებით არის დაჯილდოებული, 8 — სამთავრო ომის მონაწილეა (ა. აფხაზაია, ა. კეკეუშაძე ნ. ტურბინიძე) 4 — რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი (ე. ნიკოლაძე, დ. სალუქიანი, ზ. აკი-ნაიაძე, ე. კვაჭაძე), 2 ექიმს მინიჭებული აქვს კვალიფიციური კატეგორია და 2 — პროფესორთა კურორტების ფრადანაა. მათ, 19 ექიმს საკვალიფიციური კატეგორია მიეკუთვნა, 2 კი აჭარის დამსახურებული მედიკოსებია (ლ. ტყეშელაძე, ე. კეკეუშაძე).

ბული მედიკოსებია (ლ. ტყეშელაძე, ე. კეკეუშაძე).

სამკურნალო, დიაგნოსტიკური საქმის განვითარებასა და სამედიცინო კადრების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ ექიმს, საკავშირო განმარტოების და საკურორტო პროფკავშირების ფრადანანს ელენე გაკიყვას.

სანატორიუმ „აჭარაში“ მუშაობენ 1980 წლიდან კვალიფიციური ექიმი-ნერვოპათოლოგი ზოია მიხეილის ასული ავაზაშვილი, 1975 წლიდან ექიმი სტომატოლოგები: ე. კვაჭაძე და ა. რიყაძე, ექიმი კარდიოლოგი ლ. ტულუში. 1985 წლიდან რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მთავარი კარდიოლოგი ელენა ნიკოლაძეა, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი-გინეკოლოგი ლ. სალუქიანი და კლინიკის მთავარი ექთანი, აჭარის ასსრ ჩანჩქილების დამსახურებული მუშაკი, პირველი კატეგორიის მედიცინის და ლ. ტყეშელაძე.

საკურორტო სისტემაში 1980 წლიდან მუშაობს სანატორიუმ „აჭარა“ მთავარი ექიმი ზორბ ბერძენიშვილი.

საკურორტო ჩანჩქილების კერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ახევე საშუალო სამედიცინო მუშაკებმა, ვეტერანებმა: ტ. კეკეუშაძემ, ა. აფხაზაიამ, ნ. გოგუშვილმა, მ. კალანდარიძემ, თ. კვიციანიამ, მ. ცივარცხავამ, მ. შუკიბაძემ (სან. „აჭარა“), ლ. თენგიშა, ე. ურბიანი (პანს. „პორიზონტი“).

აჭარაში ტურიზმის განვითარება საბჭოთა ბელისფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ჭარ კიდეც 1928 წელს, ბათუმთან ახლოს მწვანე კონცხის თვალწარბიტ ადგილას გაიხსნა მწვანე კონცხის ტურისტული ბაზა 80 საწოლზე. აქედან აჭარაში მოქმედებს 21 ტურისტული ობიექტი: 1 ტურისტური სასტუმრო „მეხეთი“, 8 სტაციონარული და 9 დაქირავებული ბაზა, 4 სექსკურსის სამოგზაურო ბუფი, სარემონტო-სამშენებლო უბანი, ავტობაზა „ტურიზტი“. საავტოო გაერთიანება „მეხეთი“ და ტურისტული კლუბი „ოქროს სანახი“.

1987 წლიდან საკურორტო სისტემაში დაიწერა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმა — შეიქმნა 19 ბრიგადი 190 კაცის შემადგენლობით. დღეისათვის დაწერა 10 მომსახურების 80 ფსიანი სახე; გაკირავების პუნქტი დაიწერა ფსიანი მომსახურების 18 სახე, დიკონო მომსახურება და სხვა. (მარტოქ: ბათუმის საკურორტო პოლიკლინიკაში დაიწერა ფსიანი მომსახურების სახე). 1988 წლის ივლისიდან საკურორტო სისტემა გადავიდა მურწინების ახალ მეთოდზე, რაც საშუალებას გაძლევს შექმნათ მატერიალური სტიმულიების ფონდები და შეზღვევში უზრუნველყოფითადფინანსებზე მთლიანი გადახდა.

მეცამეტე ბუფელში და 2000 წლამდე, რეკონსტრუქციის და გაფართოების შემდეგ ექსპლუატაციაში შევა პანსიონატი „ბათუმი“ 200-დან 500 საწოლამდე; რეკონსტრუქცია და ახალი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობს პანსიონატებში: „მხინჯაური“ და „მწვანე კონცხი“, დასასვენებელ სახლებში: „მანკლია“ და „შუქურა“, წარმოებს ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკის რეკონსტრუქცია და გაფართოება, ციხისბრში შენდება საორტულ-გამაჩანსაღებელი კომპლექსი აუზით, ქობულეთილებს ექნებათ საკურორტო დასახურული აუზი, საკურორტო სასახლეთა საკონსტრუქტორ ეტრადა, სადავო კორპუსები და სხვა.

შემოსადასახლებული მშენებლობის შედეგად საწოლებს რაოდენობა გაიზარდა 5991-მდე, ყოველწლიურად იზრდებოდას 119.000 მშრომელი. კურორტის შემოსავალი გაიზარდა 8 მილიონ მანეთამდე. აჭარის საკურორტო სისტემის ქალთა მომსახურე პერსონალი არ დაზოგავს ძალასა და ენერგიას, რათა კურორტებზე ჩამოსულ ავადმყოფებს და დამსვენებლებს ჰქონდეთ მურწარვლისა და დასვენების საუკეთესო პირობები.

ს. გომიტიძე,

ბათუმის საკურორტო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

„ესეუნი საქსუნილი, ინანტრაჟა იუნი“



ბათუმის შემოსასვლელში, ცის-
კენ აღმართულ ობელისთან მარა-
დიული ცეცხლი ანთია. ობელისკის
მეორე მხრიდან ზღვის ტალღების
ლივლივია. ეკარცლებექს მუდამ
წითლად მოხასხასე მიხაკები ამშ-
ვენებს და ზღვის ტალღებს, სად-
ღაც უსასრულობაში გირლიანდები
მიჰქვს.

ყოველივე ეს, რაზეც მოკითხ-
რობ, დიდ სამამულო ომში და-
ღუბულთა მოსაკონარია. აჭარიდან
24.03მ მებრძოლი ერკინებდა ვე-
რაც მტერს. მამაცობისა და გმირო-
ბისათვის 12 ათასი მებრძოლი და-
ჭილდოვდა ორდენებითა და მედ-
ლებით, ხოლო ექვსი საბჭოთა კავ-
შირის გმირის საპატიო წოდება
მიენიჭა. აქედან ბევრი მათგანი
ბრძოლის ველზე მამაცთა სიკვდი-
ლით დედაც.

კაცების მხარდამხარ აჭარელმა
ქალმა სიყვარულისა და დიდობის
ასაკში გაიხადა ყვავილებით მო-
ჩითული ნაირფერი კაბები და სამ-
ხედრო ფარაჯა ჩაკიცვა. მტრის
სიკვდილიან ამბრასურას მკერდით
გადეფარჩენ, რომ სამშობლო გან-
სადეფლისხავნ ეხსნათ. რომელი
მათგანი ჩამოვფლოთ: ჭურგი ანა-
ნამე, ფადიმე ორეჩაძე, ნაზი ქინქ-
ლაძე, ქეთო თურქია, უფუჟნა ინა-
იშვილი, დები ლუბა და ტატანა
წეროხაძე, ალექსანდრა მასხალია,
ნინო, ნიკოლაიშვილი, დარეჯან
დლონტი, ვენერა გუგუშვილი, ზი-
ნაიდა სოკოლოვა, ლიუდმილა ვა-
ნია, ეთერ სურგულაძე, ჭურგი ანა-
ნამე და სხვები...

842 ქალიდან უმრავლესობამ სამ-
მო საფლავებში პოვა სასუფეველი.

მე ახლა აჭარის დიდების მუზეუ-
მში ვარ და სიძველესაგან გუც-
რეცილ ქალაღელე ვკითხობო
ჩემთვის უნდა მერეიების ლექსს:

„ესხლაც გაჯავდოლია,
შენატრება იები“...

საღღაც, ჩვენგან შორს... აჭარელ
გოგონას იების ნაცვლად იმ გა-
ჯავდულზე ხელში შაშხანა ეკავა.
ოცნებით კი გაჯავდულის პირველ
მახარობელს — იას ნატრობდა და
ეფერებოდა. ბავშვობაში ალბათ
„დღედობანას“ თამაშობდა და ეს თა-
მაში დარჩა დედობაღლ...

ჭურგი ანანიქს კი — დნტრის
გალდალვისას დაეწია მტრის ტუყია,
შემდეგ იგი მდინარემ შთანთქა.

ქეთევან ასათიანი კიევის ოლ-
ქის სოფელ ობირიშში მიიბარეს მი-
წეს. ქეთევანმა სიკვდილის წინ
ჩურჩულით დაიბარა, „ნანამ ჩემი
შვილი არ დავუკავდება, მანამ
ჩემი დაღუპვის შესახებ არაფერი
უთხრაო, დაე, შელოდოს“.

მებრძოლი თინა იმნაიშვილის ბო-
ლო ბარათი ასე მთავრდება: „ჩვე-
ნი გემი ტვირთება და ერთ სათაში
ქერჩის მიმართულებით მივდივარო“.

წავიდენ ჩვენგან მერეიმი, ქეთე-
ვანი, თინა... და ვინ მოთვლის მათ
სახელებს, რომლებიც ახალი სი-
ცხცხვლების დედები უნდა ყო-
ფილიყუნენ და ერი ემრავლებინათ.

ჩემთან ჭადრა ქალი ზის — ჭუ-
რგი ინაიშვილი და ომისდროინდელ
ამბებს იგონებს.

— უნივერსიტეტის სტუდენტი
ვიყავი, ომი რომ დაიწყო. კიროვის
ჩაოონის სამხედრო კომისარიატში
გამოცხადი და ფრონტზე წასვ-
ლა ვითხოვე.

გოგონა 415-ე საარტილერიო
პოლში ჩარიცხეს. პირველი საბ-
რძოლო ნაღობა გროზნოს წავ-
თობვადამამუშავებელი ქარხნის
დაცვის დროს მიიღო. იქედან ნო-
ვიჩერკასკში, ტავანოვოში, ლვოვი
მოხუბდა საბრძოლო დავალებების
შესრულება. „ერთხელ — იგონებს
ამაგდარი, — სათვალთვალო კომუტ-
თან ექვსი გოგონა გაგვაგზავნეს,
მე უკვე სერჟანტი, რადიოსადგუ-
რის უფროსი ვიყავი, ის-ის იყო

დაწოლას ვაპირებდი, რომ შორი-
გემ მანია ჩაიბიქმ გვაშცხო — თავს
ვევსხმანო, სასწრაფოდ მივიღეთ
გადაწყვეტილება! „სიკვდილი ან
სიცოცხლე“ და შევერკინეთ ირგვ-
ვლ შემოსეულ ბენდერებს.

გამთენიისას დაჭრილები ფანჯ-
რიდან გადავხვი, რადიოსადგურიც
გარეთ გავიტანე და ვხედავ, რომ
მანია აღარსად არის. ისევ თატს
დაგვეხსნენ და ჩვენს ფიცრულს
ცეცხლი წაუქიდას.

ყველაფერი დაიწვა. ამასობაში
ჩვენებაც მოგვეშველენენ.
ვტროლით მანისა და გადაწყვე-
ტიტთ ნახანარაღებში რაიმე მაინც
გვეპოვნა და დაგვესაფლავებია. მარ-
თელაც, მიმქრალ ფერფლში მანისა
ბეჭედი დავინახე, რომელიც რსო-
ტცივის ბაზარზე იყიდა. ძვლებიც
ავკრიფეთ და ბარისლავის მძათა
სახაფლაოზე დაგვკრძალეს.“


რომელი ერთი მოგონებაც ჭურგი
იმნაიშვილიმა, ჭადრა ქალმა იმ
საშინელებიდან, რასაც ომი ჰქვია და
უხსნის იარბეს, მორჩილად ტკი-
ვილად რომ დაარჩენია.

ჭურგიმ ომის შემდეგ ბათუმის
პედაგოგიური ინსტიტუტი დაამ-
თავრა. კომუღეთის მეოთხე საშუ-
ალო სკოლაში უბეაგოვად მუშაუ-
ბდა, შემდეგ იმავე სკოლის დირექ-
ტორაც გახდა. 1962 წელს ლამაზი
ქართული ოჯახი შექმნა და ქვეყა-
ნას ორი ვაჟიკი შესძინა.

დღეს ამაგდარის მკერდს სამი
ორდენი და ათი მედალი ამშვენიეს.
მინდებულნი აქვს აჭარის ასს რეს-
პუბლიკისა და საქართველოს სსრ
დამსახურებულნი მასწავლებლის სა-
პატიო წოდებები. არის პერსონა-
ლური პენსიონერი.

წვილით წერას რომ ვამთავრე-
ბდი, ისევ მერეიების იებზე დაწერი-
ლი ლექსი და მანისა ბეჭედი გა-
მახსენდა...

ნაზიბროლა ქორიძე



ბათუმის პორტი

საქართველო ზღვაოსნობის ქვეყანაა

დ

დღეს საქართველოს საზღვაო — სანაოსნო ზომალდები მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავს, საქართველო სატვირთო გემებით უკავშირდება მსოფლიოს ნავსადგურებს.

ბათუმს გეოგრაფიული მდებარეობით ნაბოძები ბჰონდა მშვიდი ბოლაში, სადაც თავის შეფარება შექმლოთ პატარა გემების. ამიტომ 1878 წელს ბათუმი ნავსადგურად გამოცხადდა. ეს იყო პატარა სა-

ვაჭრო ნავსადგური, სადაც შედიოდა და გამოდიოდა ტვირთის მცირე პარტიები. უხუცეს ბათუმელებს კარგად ახსოვთ დუკერები სატვირთო ოპერაციებს პრიმიტიულად რომ ასრულებდნენ. ერთადერთი საშუალება, რომლითაც ტვირთის აზიდვა-ჩამოზიდვა ხდებოდა, კურტანი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბათუმის ნავსადგურმა ფართოდ

გაშალა ფრთები და მძლავრ, სატვირთო ტექნიკით აღჭურვილ საწარმოდ გადაიქცა. ბათუმი ახლა საქართველოს საზღვაო-სანაოსნო საბაზო ნავსადგურია. 1967 წელს აქ სანაოსნო შეიქმნა და გადმოეცა რამდენიმე ნავთობსაზიდი გემი. შემდეგ თანდათანობით შეივსო ფლოტი გემებით, რომელთა შორის, თხევადი ტვირთის გარდა მშრალი ტვირთის საზიდი მაღალი კლასის ხომალდებიც არის.



საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს შექმნის წყალობით ჩვენს რესპუბლიკაში აღზარდნენ საზღვაო ტრანსპორტის საკუთარი სპეციალისტები. სანაოსნოს ფლოტს 2500-ზე მეტი მეზღვაური ემსახურება. მათ შორის 200-მდე ქალი. მათ სასახელოდ უნდა იქნას, რომ ისინი ძალისხმევას ახდინებენ არა მარტო საწარმოო ამოცანების გადაწყვეტას, არამედ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური წარმომადგენლებიც არიან საზღვარგარეთის ქვეყნებში და ღირსეულად ატარებენ საქართველოს მეზღვაურის სახელს.

ბათუმში ცხოვრობს იმისა და შრომის ვეტერანი, საზღვაო ფლოტის დამსახურებული მუშაკი, აჭარის ასსრ დამსახურებული ბილიოთეკარი იულია ფალოძე.

ამ ქალს ყოველდღე საუკეთესო ყვავილებს მივართმევდ, მის ქუჩას მის სახელს დავარქმევდი, რადგან ერთი ისეთი ეპიზოდიც კი, როგორც მას ბევრჯერ გადახდებია, ვეუცხადებ ვერცხვად სააბაჟოდ. ახლა, როცა დიდი დრო გავიდა ომის ქარცეცხლიანი დღეების შემდეგ, ბევრი რამ მნელი დასაქრებელია, თუმცაღა დავიწყებაც შეუძლებელია.

1938 წელს ოთხმა ქართველმა ქალიშვილმა იულია ფალოძემ, ვიდე ვგარიშვილმა, შუშანა თუმანიშვილმა და ნინო კლანადამე ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კარბი შედგენა და წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები გემთწამყვანობის ფაკულტეტზე, რომელიც 1940 წელს დაამთავრეს. განწილებით სხვადასხვა სანაოსნოში დაიწყეს მუშაობა. იულია და ნინო შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრნენ, ხოლო შუშანა და ვიდე კასიის ზღვაზე შეუდგნენ (ტურვას).

ამ ოთხი მეზღვაურის ცხოვრებას, მათ გმირობასა და მამაცობას უძღვნი დამატურგმა ალექსანდრე ჩხიძემ დოკუმენტური მოხიბრობა „ზღვა და ოთხი ქალიშვილი“.

სხვადასხვაგვარად აეწყო ოთხი ქალიშვილის ცხოვრება. ორი მათგანის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. ნინო კლანადამე ჩრდილოეთის ზღვაში მიიბარა, ხოლო ვიდე უკურნებელი სნენით შეპურბოლი. 1953 წელს გარდაიცვალა.

შუშანა თუმანიშვილმა ზღვარსონმა შტურმანობით დაიწყო. კაპიტნის მეორე თანაშემწე გახდა, იქვე გაიხოვდა და დღესაც განაგრძობს მუშაობას კასიის საზღვაო-სანაოსნოში.

იულია ფალოძემ გაიარა ერთი თახის მდიო ბოშბებქვეშ — დამი-

ნული და დანადგომი ნაპირები. ცურავდა კაპიტნის მეოთხე, მესამე, მეორე თანაშემწე, გადაქმნა და ტვირთი ვესტრალიაში, ინდოეთში, ირანში. იულია დღემდე ვერ იფარყებს სან-ფრანცისკოში, 1932 წელს თავის განუყოფელ მეგობართან ნინო კლანადამესთან ამაღლებულად და უთანასწოლ შეხვედრას.

ნინო რამდენიმე დღის შემდეგ გმირულად დაიღუპა ჩრდილოეთის ზღვაში.

სამამული ომის დამთავრების შემდეგ იულია ფალოძე ისევ ზღვაზეა, შემდეგ მუშაობას იწყებს ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, სადაც ემსახურება გემთწამყვანებისა და გემთმექანიკოსების აღზრდას.

პატრონების განსაზღვრება მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი ქართველი ქალი — იულია ალექსანდრეს ასული ფალოძე, ეკიპაჟის სათვის სიტყვის უტყქელადაც სიმამაცისკენ, გამბედაობისკენ მომწოდებელი. მასთან არ შეიძლება წუწუნის სიძინელებზე, დაღლაზე, შიშზე.

ჩემი სიცოცხლის მანძილზე ბევრი გატირებულა და განსაცდელი მიწასავს, მაგრამ არ შევწინფილვარა და შრომითა და მეცადინეობით გადამილახავს იგი. ახლა 70 წლისა გადაცილებული ქალი ვერ ვძლებ შრომის გარეშე. არაფერი სჯობს იმას, როცა ადამიანი თავის თავს ხალხისა და ქვეყნის დიდი საქმეების მონაწილედ და თანაზარად გრძნობს — ამბობს ქალბატონი იულია.

მისი შემართება, საქმისადმი სიყვარული დღესაც სამაგალითოა ზღვაზე მომუშავე ქალთბისათვის.

მრავალი წელი აკავშირებ ზღვასთან გემების — „სერგო ორბანიძის“, „ივანე ვახტანგის“, მზარეულებს ნ. შანიძესა და ვ. ჩახიძეს. მისაბაძა მათი გულისხმიერება და დედაშვილური დამოკიდებულება ეკიპაჟის მიმართ. ისინი უქმე დღე-ღამეც შრომაში ატარებენ და შტორმულ პირობებშიც ახერხებენ სიმშვიდის და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას.

ძველად ვავრცელებული იყო აზრი, ქალს გემზე უბედურება მოაქვსო. ახლა, როცა ქალთა რიცხვი ნაოსნობაში ასე გაიზარდა, იშვიათად თუ ვინმეს გაახსენდება ძველი შეხედულება. ექიმი ქალების გამოცდილებასზე და ცოდნაზე ბევრად არის დამოკიდებული გემის ეკიპის წევრების სიცოცხლე. ნაპირზე სხვაა, თუ გატირდა შეიძლება დაუძახო კონსულტაციისათვის კო-

ლედას, მოიწვიო კონსილიუმი. ში ამის შესაძლებლობა გაიჭრის უკლებლია.

„ეკიპაჟის ჩანმრთელობა უპირველესია“ — ამბობს თბოპალ „ნაპირთა ფლოტის“ ექიმი ნინო ფირცხალაშვილი. პროფესორ-ტექნიკური სამედიცინო დონისიქტეობა ერთად იგი ყოველდღეობად ამოწმებს გემისა და განსაკუთრებით კაპიტნის სანიტარულ მდგომარეობას, ადგენს მენიუს, თვალურის ადვენტის საჭმლის მოსალოცების ტექნოლოგიას. ეკიპაჟის წევრებმა იციან, თუ ნინა ფირცხალაშვილი გემზეა, შევიძლება დამწვინებული იყო, ვინ ციხის რამდენისთვის გაუწყვია საეკიპო დახმარება უცხოეთის ნავსადგურებშიც.

მარამ ზღვარსონმა მარტო გემები როლია. სწორად ამბობს, ზღვა ნაპირთან იწყებაო. სანაპირო ორგანიზაციების კარგ მუშაობაზე ბევრად დამოკიდებული საზღვაო-სანაოსნოს საბოლოო ეკონომიკური შედეგებია. რომლის წარსიტებები ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ მნიშვნელოვან გაიზარდა.

სანაპიროზე არაერთი პრობლემა, ერთერთი და ძირითადი ოჯახის საკითხია.

იუნესკოს გადაწყვეტილებით წლებანდელი წელიწადი ოჯახის წელიწადად გამოცხადდა. „ახლავარდა მეზღვაურთა კულტის“ წევრებმა თინა ჩხიძის ხელმძღვანელობით თითქმის ყველა ოჯახის დაღობინა და გაჭირვება იციან, მჭიდრო კავშირი აქვთ სკოლებთან, სადაც მეზღვაურთა შვილები სწავლობენ.

ზღვაზე მუშაობის სპეციფიკა ისეთია, რომ მეზღვაურებს ხანგრძლივად უხდებათ შორს ყოფნა, როგორც 4-6 თვის განმავლობაში ამ შედარს სანაპო პორტებში, ამ პერიოდში ოჯახის დედებს ორმაგი, — ქალისა და მამაკაცის ცვლირი აწვეთ მხრებზე, სწორად აქ სტრინდება მათ თანადგომა და მხარდაჭერა.

ქალთა აქტიური ჩარევისა და მონაწილეობის გარეშე ბევრი საკითხის გადაჭრა შეუძლებელია. როგორც დიდი აქტი იტყვალა — ის საქმე, სადაც ქალები არ გვირგვია, ვერ ხარობსო.

მ. ხენთაძე,

საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე, საზღვაო სანაოსნოს ქალთა საპრო თავმჯდომარე.



კინ კლეზა საბჭოთა ნასკვაპი?

ნახევრად სუმრობიი

ამჟერადაც მეუღლის რკინისებურ-მა ლოლიკამ გაჭრა; ხალხი რას იტყვისო... სულაც არ შეპურმარილებოდა. რა არ მოვიმოწეე, დღევანდელი სიტუაცია და ლოთობის საწინააღმდეგო უმკაცრესი ბრძანებულებაც გავისხენე, მაგრამ ბოლოს მაინც...

თამადამ დაცლილ ლიტრიან ყანწს ხელი მოუწაცვლა, დამუშავებული უცხტირ უღვაშები გაისწორა და სუფრას ომბადახლილი მთავარსარდალივით გადახედა.

ჩემდა ჭირად, თამადის პირდაპირ ვიჭექე, არ ვიცე ჩემი დაბუყბილი თვალები არ მოეწონა თუ პირიქით, თვალში მოუვდი, ჭიხვის ყანწი პირდაპირ მე მაჭახა.

— მამატეთ, მაგრამ ვერ დავდევი — მანქანით ვარ...

გაკვირვებისაგან თამადამ გადაგრეხილი წარბები ჭერ ერთმანეთს დაუახლოვა, შემდეგ შუბლს ზევით, სადღაც ძალიან მაღლა ასწია და დასკეპა:

— ასეთი რა მანქანა გყავთ ჭაბუკო?..

გამაცოცხა...
— მოსკვირი...—ჭურღობაში წასწრებულივით წვაილულლულე-ყველამ მე გადმოხმედა, კარგად რომ დაეცნაზე. თამადის მოადგილე გვერდზეც კი გადმოიხარა, თან სერიოზული გამომეტყველებით მკითხა:

დღის ნახევარსაათიანი მონოლოგით გაოგნებული სტუმრებიც ვაამხიარულა.

— ყანწი გამომართვი, ყმაწვილო, — შემომბღვირა თამადამ, ჭიხვის რკებივით გადაგრეხილი წარბები კიდევ ერთხელ შეათამაშა.

— ცამეტი წელია მანქანას ვმართავ, ჭერ წვეთი არ დამიღვია, — წამოვიძახე სასოწარკვეთილმა.

მეხის გავარდნას ველოდი, მაგრამ თამადამ ნაძალადევი თავაზიანობით კბილებში გამოსცრა:

— მე „ოცდაათის“ მაქვს ჩემო ბატონო, ამას „ველოცო“, იმას — „მერსედესი“, იმას... და ასე ჩამოაყვავა თამად ერთ რიგს — აბერ დავსაყველა, შენი „მოსკვირი“ რა ბედენაა? „მოსკვირი“ ისე გამოსცრა კბილებში, თითქოს ჩემი გამოშვებული ყოფილიყოს.

— საბჭოთან ჭერ არ ვმჭდარვარ... — ერთხელ კიდევ გავიბრძოლდი, თან წყალწაღებულივით უკანასკნელ იმედად მასიპნოსისაკენ გავიხედე, მაგრამ ოჯახის დიასახლისის სავეედუროთ სავსე თვლებს რომ წაეწყვიდი, სულ მთლად წავხვდი კაცი.

— ერთი დიეტური სასადილო კი მეგულედა ახლოს, მაგრამ ისიც რემონტშია, — წაიჭიქილა ვიღაცამ. მუდმივად რაღაცას მანიშნებდა, აქალიშვილი ისე დამკრა ფეხზე, რომ კინაღამ ვიყვირე;

— პალუმავე, ორიგინალ, ტოფე მზე ველივი ტრეფენიკ... უ მენია ტოფე „ფიფლი“, წაისხინა თამადის ხელმართრწვნი მჯღობმა მანდილოსანმა, თან შამპანურით სავსე

ფუფერი გამომწვევად, მამაკაცივით გადაუშვა ხახაში, ბექლებწამოცმული კოტიტა თითებში საყურები და გულსახანვი ისე შეათამაშა, რომ ბრილიანტების ანარეკლი ათასი ვარსკვლავი ერთბაშად მომხვდა თვალში.

მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

— მომეცით ყანწი — ისეთი ხშითვილიაო, — რომ სუფრის ბოლოს თავჩარგული ვივაც თვემოკვდებიო კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. ერთი სიტყვით, ყანწს ყანწი მივაყულო, სუფრაც დაწწარდა და ჩემი „შეღაბული“ რეპუტაციაც „აღსდა“.

ნაშუაღამევს გაბოროტებული და ჩაღვინებულ-ჩაბუფებული საპეს მივუჭექე. სახლამდე სულ ცენტრალური და ყველაზე განათებული ქუჩებით ვიარე. ავტოინსპექტორს ვეძებდი. ავტობუსი მქონდა დაკოვლილი ბოღმა მასზე გადმომინთხია. ჩემდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, არაფერ შემხვდა. მერე, როგორც იქნა, საპატრულო მანქანას გადავეყარე. მანქანა ჩქურად მივაყენე და მთელი ხშით შეეძახე:

— მთვრალი ვარ, მთვრალი...

ინსპექტორმა მანქანიდან გადმოუსვლილად საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიღო, თან მტკვანი აქეთ-იქით შეატრიალა, რაც მსოფლიოს ყველა ენაზე „უკუაზე“ კარგად ხარო-ს ნიშნავს.

არ დამიჭერა, არც გამეტყუნებოდა, როდის იყო, მთვრალი მძღოლი ინსპექტორთან თავისი ფეხით მიდიოდა?



როგორ მივაღწიო სახლამდე, ღმერთმა უწყის. მას შემდეგ პარტიზანული ადარ დავდიოდით, მაგრამ როდემდე უნდა გამოვკეტოლიყავ? ლხინია თუ კირი, შერჩევი მინც უნდა მიხედოდი ვინმესთან. ოჯახის წევრებმა ხომ ჭვარჭუ მაცვეს, ერთ-ორ-ჩერ უმანქანოდაც წავიდ, მაგრამ ჩემმა ბიუტეტმა ვერ გაუძლო აქეთ-იქით სუბინფინანსების ფრიალს. ვერც ოჯახის წევრების გული მოვიგე. სანამ მე მანქანას ვეძებდი, მთა ან ქარი აწუხებდა ან წვიმბარა მიქნა? ნაცნობ-მეგობრებში სულ ხომ არ გამოვწყუდეოდი და კვლავ ჩემს ერთადერთ „მოსკიხს“ მივუფრქვი. ვიცი, ძალიან არათანამედროვედ გამოვიყურები კირისა და ღმერთის სუფრაზე ისევ დამცინიან, ძირითადად ისინი, ვინც ნაკვიფარ-ნაბახუსევი პირველი მიჯღებია მანქანაში და ვარიგებ სახლებში.

ერთი აზრი მაქვს აკავატებული და მოსვენება არ მაძლევს. ვიცი, კაცები ვერ გამოიგებენ. სწორედ ამიტომ თვედ მოგმართავ, უმშვენიერეს სქესის წარმომადგენლებო, ყველაზე ჭუმანურნო და გამგებიაზრ ადამიანებო!

მოწყონს ლოთობას ბრძოლა რომ გამოუცხადებ. განსაკუთრებით მანარებებს ნახვამი მძლოლებს დასჯეს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ისიც ხომ უფრო იცი, რომ ქართული კაცს პური-მარისს ვერ მოაშუივლებ. (ღმერთმა ნურც მოგვიშალოს

კეთილი სუფრა და არცა ვაჭარბი ვინმე ნამდვილი ქართული ღმერთი მოშალოს). სწორედ ამიტომ მეც მინდა საერთო საქმეს ფეხი ავუბა და გათხოვო:

— ვინ უტყდა საჭეს ნახვამი? — ისევ და ისევ თქვენი ქმარი, ძმა, შვილი, ახლობელი... მკარი, განა ყოველივე ეს თქვენი თანდასრუებით არ ხდება? ჰოდა, რატომ დღემუხართ? რატომ განვე არ გადაადგმენინებთ მშველს ღვინით სახეც ფიადლას და არ აღმართავთ თქვენს მახვილს იმ დიდ ბოროტების წინააღმდეგ, რომელსაც ლოთობა და ერის უბედურება ჰქვია!

ბივი ჰირმელაშვილი

ახალი საქართველო კვრები

დედღური

მასლა: 1 კარგი ქაიამი (დედალი), 200 გრამი წერილად დაჭრილი ხახვი, 1 ჭიკა ბრინჯი, 1 ჭიკა გატარებული ნიგოზი, 2 სუფრის კოვზი ხმელი ქინძი (დაფუკილი), 2 სუფრის კოვზი ზაფრანა (ყუთული ხუნელი), 1 კონა წერილად დაჭრილი ნენელი ქინძი, 1 თავი (50 გრამი) დანყალი ნიორი, შავი პილიპილი და მარილი გემოვნებით.

დაჭრილი დედალი მოვათავსო ქვაბში, დავაყარო ხახვი, დავახსო იმდენი წყალი რომ დღვაროს და შევდგათ დავაყარო ხიმურჯალის ცეცხლზე. რომ წამოდუღდება, ნახევრად მოხარშულ ქაიამს დავაყარო ბრინჯი, ზაფრანაშუკილი ნიგოზი და ვაღდულო უფრო დაბალ ცეცხლზე. რომ მომზადდება (მოხარშება) გადმოვდგათ ცეცხლიდან და შემდეგ შევაზავო ზემოთ ჩამოთვლილი სუნელიებით და მარილით.

იანძი

მასლა: 1 კვ ძროხის ხორცი, 1 ჭიკა გატარებული ნიგოზი, 300 გრ წერილად დაჭრილი ხახვი, 50 გრ დანყალი ნიორი, ორი სუფრის კოვზი ხმელი ქინძი. 2 სუფრის კოვზი ზაფრანა, შავი პილიპილი და მარილი გემოვნებით.

საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭრილი ხორცი მოვათავსო ქვაბში, დავახსო იმდენი წყალი, რომ ხორცს ოდნავად აცდეს. შევდგათ საშუალო ხიმურჯალის ცეცხლზე

და წამოდუღებისთანავე მოვკაფთო. ხარშვის დასრულებამდე (ხორცს ოდნავ რომ დააღუღება ხარშვა) ჩავაყარო ქვაბში ხახვი და ყველა ჩამოთვლილი სუნელი, მხოლოდ ნიორი და მარილი დავამატებ ბოლოს, ჭურვიდან გამოვდგმის მერე.

ბორანო

მასლა: 10 კვერცხი, 800 გრ ყველი, 150 გრ კარაქი, მარილი გემოვნებით.

კარგად ათქეფილ კვერცხს შევურიოთ დაფუნდო ან მხვილ სახეზე დახსილი ყველი და მოვათავსოთ დანდარ კარაქთან ტაფაზე, დავახუროთ თავსახური და შევწავო ნელ ცეცხლზე. 10-15 წუთის განმავლობაში (მაგალზე მოვტანო ცხელი).

ჩირბული ნიგვციო

მასლა: 10 კვერცხი, 50 გრ გატარებული ნიგოზი, 1 სუფრის კოვზი ზაფრანასთან ერთად, 100 გრ ერბო, 50 გრ წერილად დაჭრილი ხახვი, ნიორი და მარილი გემოვნებით.

ერთობში მოხარკულ ხახვს დავახსო ნახევარი ლიტრი წყალი, რომ წამოდუღდება დავუმართო ნიგოზი, ჩავახლოთ აუთქეფვა კვერცხები, ცილა გათრელება თუ არა, შევაზავოთ ნივრით და მარილით.

ასშაა

მასლა: 200 გრ კარაქი, 2 ჭიკა პურის ფეკელი, 1 ლიტრი წყალი, 1 ჭიკა შაქარი, მარილი გემოვნებით.

1 ლიტრი წყალში მოვათავსო კარაქი, შაქარი, მარილი და წამოვადულო. ცალკე თასზე ცივ წყალში გაავხსნათ პურის ფეკელი, ჩავახსნათ ნელნელა ადუღებულ წყალში, თან ხის კოვზით მოვირიოთ და ისე ვაღდულო. რომ შესქეღდება, დავუწყოთ ცეცხლს და ასე ნელ ცეცხლზე იღულოს 5 წუთის განმავლობაში, ასეთა მაგიდაზე მივაქვს ცხელი.

ჰაშურმა

2 კვ ცხვრის კარგი ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, მოვათავსო ქვაბში, დავახსო იმდენი წყალი, რომ დავიაროს და ვხარხოთ საშუალო ზომის ცეცხლზე. მოხარშვამდე თუ წყალი დაიშრო, ვამატო ცოტ-ცოტა მღულარე წყალი. რომ მოხარშება და წყალს შევირობს, თუ ცხობი არ ყოფნის, დავამატო ცხობი და მოვშუშოთ. გადმოვდგმის შევაზავოთ დანყალი ნივრით, შავი პილიპილი და მარილით. (თქვენი გემოვნებით).

იალში ჰველი

დავანერო ტაფაზე ან პატარა სქედობრინა ქვაბში 200 გრამი კარაქი. დავაყაროთ ზედ 500 გრამი დაფუნდო ან წერილად დაჭრილი კარგი ყველი (ქართული) და სუფრაზე მივტანო ცხელი. ცეცხლზე გავაჩეროთ 1-2 წუთი.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და უფლებმოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილება — 93-98-54. მასალად გადაეცა სასწრაფოდ 5.01.89 წ. უფრალი ხელმოწერილია დასაბეჭდვად 10.02.89 წ. ქალღმის ზონა 60X90/1ს. ფინსკური ნაწილები ფურცელ 3. სააღრცებო-საგამომცემლო თაბიხი 5,8, ტირაჟი 171.000. შეკ. 28. უე 04618.

Условья печатиных листов 3, учетно-издательских листов 58. ფასი 30 კპ.



6107/38

